სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

41667218715416

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N160845793**

რეგისტრაციის თარიღი

**30.07.2016 წ**

ნოტარიუსი: ანჟელა მანია
მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას თექვსმეტი წლის ოცდაათ ივლისს მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია,** მომმართა ***გიორგი მაჭავარიანმა*** მან განაცხადა, რომ არის *შპს "ევროგლობი 2013"-ის (რეგისტრ. 18.09.2013წ. ს/კ №404455576. განაცხადის №661126. განაცხადის რეგისტრაციის №* **B13092452**, *ამონაწერის მომზადების თარიღი: 18.09.2013წ. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონში ივ. ჯავახიშვილის ქ. №38) დირექტორი,* მან განაცხადა, რომ სურს ***ვასილ თაყაიშვილის*** მიმართ მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად ***გიორგი მაჭავარიანმა*** *(დაბ. 14.06.1979 წ. თბილისში. პ/№01030010949, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №38)* მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც განვუმარტე მას. მან წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას, რასაც ვამოწმებ.

## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თექვსმეტი წლის ოცდაათ ივლისს მე, ***გიორგი მაჭავარიანი,*** როგორც *შპს "ევროგლობი 2013"-ის* დირექტორი, შემდგომში ამ მინდობილობაში წოდებული როგორც "მიმნდობი პირი", ამ მინდობილობით ***ვასილ თაყაიშვილს*** *(დაბ. 14.11.1959 წ.თბილისში. პ/№01006009900; მცხ. მისამართზე: ქ. თბილისი, ნ. და კ. სალიების ქ. №29)* შემდგომში "მინდობილ პირებს" ვანიჭებ ერთად და/ან ცალ-ცალკე შემდეგ უფლებამოსილებას:

აწარმოოს ჩემი სახელით ჩემს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მის.: **ქ. თბილისი ქუჩა გოგებაშვილი №44 ს/კ 01.15.02.048.009.** საბუთების შეტანა, მოახდინოს პროექტის დამტკიცება დადასტურება მიღება ჩაბარება. ამასთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიაში, მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის სსიპ მერიის არქიტექტურის სამსახურში და ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურში შეასრულოს ყველა მოქმედება დაკავშირებული ამ დავალების შესრულებასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, თანხმობა. მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, ნებართვა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, შეავსოს შესაბამისი ფორმა, დანართი და ა. შ., გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა მოქმედება დაკავშირებული ამ დავალების შესრულებასთან.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე **სამ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ანჟელა მანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

**მინდობილობა გაცემულია ორი თვის ვადით.**

**მინდობილობა გაცემულია სხვა პირზე გადანდობის უფლების უფლების გარეშე.**

ამ მინდობილობას თან ერთვის:

- *შპს "ევროგლობი 2013"-ის* ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. დადგენილების № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 10 (ათი) ლარი – მუხლი 31, დღგ 1.80 ლარი თანახმად საქარტველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, აგრეთვე 2 (ორი) ლარი ელ. რეესტრში რეგისტრაციის საფასური თანახმად ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლისა.

ხელმოწერა _____

*ნოტარიუსი* *ანჟელა მანია*